სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

10 ოქტომბერი 2023

NCDC 6 23 00000126

ქ.თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფების ნუსხისა და ვაქცინაციის ჩატარების წესის შესახებ

„2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილების დანართი 2-ის (იმუნიზაცია - პროგრამული კოდი **27 03 02 02**) მე-9 მუხლის მე-16 პუნქტის და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

2023–2023 წლების სეზონისთვის, ჯანმოს რეკომენდაციების გათვალისწინებით დამტკიცდეს:

1. 2023-2024 წლების გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფები:

ა) სპეციფიკური ქრონიკული დარღვევების მქონეთაგან:

ა.ა) დიაბეტის მქონე პირები;

ა.ბ) დიალიზზე მყოფი პირები;

ა.გ)C ჰეპატიტის მქონე პირები (მხოლოდ მკურნალობაზე მყოფნი)

ა.დ) აივ ინფექცია/შიდსის მქონე პირები;

ა.ე) ორგანოგადანერგილი და მუკოვისციდოზის დაავადების მქონე პირები;

ბ) სხვა პრიორიტეტული ჯგუფები:

ბ.ა) ბავშვთა (მ.შ. მცირე საოჯახო ტიპის) და მოხუცთა თავშესაფრების ბენეფიციარები და მათი მომვლელი პერსონალი;

ბ.ბ) ორსულები;

ბ.გ) 60 წლის და უფროსი ასაკის ხანდაზმული პირები;

ბ.დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლები) პედაგოგები;

ბ.ე) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამამრთლის იურიდიული პირები;

ბ.ვ) მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების თანამშრომლები;

გ) "სავალდებულო პროფილაქტიკურ იმუნიზაციას დაქვემდებარებულ საქმიანობათა ნუსხის დამტკიცების თაობაზე"

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 22 იანვრის N 01/ - 6/ნ ბრძანებით განსაზღვრული სავალდებულო იმუნიზაციას დაქვემდებარებული პროფესიული ჯგუფები:

გ.ა.) ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი:

გ.ა.ა.) ექიმები;

გ.ა.ბ.) ექიმი-რეზიდენტები;

გ.ა.გ.) ექთნები (მ.შ. უმცროსი ექთნები, ექთნის თანაშემწეები);

გ.ა.დ.) საექიმო და საექთნო საქმის პროფესიული პრაქტიკის სტუდენტები;

გ.ა.ე.) ბებიაქალები;

გ.ა.ვ.) სტომატოლოგები;

გ.ა.ზ) სტომატოლოგის ასისტენტები, სტომატოლოგიის ექთნები;

გ.ა.თ) სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სხვა პერსონალი, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ პაციენტებთან;

გ.ა.ი) სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორიის და პათოლოგანატომიური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ ბიოლოგიურ მასალასა და პაციენტებთან;

გ.ბ.) ვეტერინარიასა და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი:

გ.ბ.ა.) ფრინველებთან მომუშავე პერსონალი;

გ.ბ.ბ.) მეცხოველეობაში დასაქმებულები/ფერმების თანამშრომლები;

გ.ბ.გ)მონადირეები;

გ.ბ.დ.) ვეტერინარები;

გ.ბ. ე) ვეტერინარული ლაბორატორიის თანამშრომლები;

გ.გ.) სხვა პროფესიული საქმიანობის ჯგუფი:

გ.გ.ა.) ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მომსახურე კონტინგენტი;

გ.დ) თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამსახურის თანამშრომლები:

გ.დ.ა.) საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში წამსვლელი სამხედრო მოსამსახურეები;

გ.დ.ბ.) სამხედრო სავალდებულო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები;

გ.დ.გ.) საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსზე ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურეები;

გ.დ.დ.) სამხედრო სამედიცინო გვარეობის საშტატო თანამდებობაზე მომაშავე სამედიცინო პერსონალი, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ პაციენტებთან.

გ.ე.) პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი;

გ.ე.ა.) პატიმრობის დაწესებულება,

გ.ე.ბ.) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,

გ.ე.გ.) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება.

გ.ვ) შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები;

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირთა ვაქცინაციის ჩატარების თანდართული წესი.

3. ქვეყნის მასშტაბით გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყოს 2023 წლის 16 ოქტომბერს.

4. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ.ებანოიძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება ცენტრის

ოფიციალურ ვებგვერდზე www.ncdc.ge.

5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად